სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/325

27 ნოემბერი 2018

ქ. თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ზოგიერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი
ერთეულის დებულებაში შეტანილი ცვლილებების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“მე-8 მუხლის პირველი პუნქტის რ[5] ქვეპუნქტის, შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 ნოემბრის №01-05-02/ 25 ოქმის საფუძველზე **აკადემიურმა საბჭომ დაადგინა :**

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითi ერთეულების დებულებები შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით:

1.1. ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დებულება ;
1.2. ინსტიტუტ „ტალღას“დებულება;
1.3. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დებულება;
1.4. ინსტიტუტ ტექინფორმის დებულება;
1.5. კვანტური ფიზიკის ინსტიტუტის დებულება;.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება წარედგინოს სტუ-ის წარმომდგენლობით საბჭოს (სენატს) დასამტკიცებლად;
3. საკითხს სენატი სხდომაზე წარადგენს ქ-ნი ნ. ხოლუაშვილი;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე